პროექტი „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF)

„ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“

საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის ეროვნული გზამკვლევისადმი მიძღვნილი მეორე პლენარული შეხვედრა

ცირკულარული ეკონომიკა ეკონომიკური განვითარებისადმი სისტემური მიდგომაა, რომელსაც სარგებელი როგორც ბიზნესისთვის, ასევე საზოგადოებისა და გარემოსთვის მოაქვს. წრფივი „აიღე-დაამზადე-გადააგდე“ მოდელისაგან განსხვავებით, ცირკულარული ეკონომიკა, თავისი არსით, აღდგენითი ხასიათისაა და მისი მიზანია განვითარება და სასრული რესურსების მოხმარება თანდათანობით ურთიერთგამიჯნოს. ეს ეკონომიკური კონცეფცია აგებულია ნარჩენებისა და დაბინძურების აღმოფხვრის, საქონლისა და ნედლეულის სარგებლობაში შენარჩუნებისა და ბუნებრივი სისტემების აღდგენის პრინციპებზე, რის გამოც მას ხშირად მდგრადი განვითარების მიზნებისა და მწვანე ეკონომიკას უკავშირებენ.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიან, სისტემურ ცვლილებას საჭიროებს, რა დროსაც სისტემის რამდენიმე კომპონენტი ერთდროულად უნდა შეიცვალოს. აღნიშნული მოიცავს ღონისძიებებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის კარგად გამართული, არადამამახინჯებელი პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შემოღებას, რომელიც ცირკულარული ეკონომიკის ინიციატივებს ბარიერებს მოუხსნის და ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელებისათვის თანაბარ პირობებს უზრუნველყოფს.

„სასიცოცხლო ციკლის დასრულების“ კონცეფციის ჩაკეტილი ციკლის ეკონომიკური სისტემით ჩანაცვლება ძირითად ამოცანად დაისახა რა, 2018 წელში საქართველომ ქვეყნის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) კონცეფცია აამოქმედა, რითაც ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებულ გზას დაადგა. ამას მოჰყვა საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასება 2020-2022 წლებში. ცირკულარობის შეფასება წარმატებით განხორციელდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“ (სბმკ „ორქისი“) მიერ, საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით და შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით. საქართველოს მთავრობას წარმოადგენდა უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც სხვადასხვა სამინისტროებსა და სამთავრობო უწყებებში მომუშავე 36 ექსპერტი შედის. მას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი ხელმძღვანელობს. შეფასების პროცესის შედეგად მომზადდა მონოგრაფია „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შეფასება - 2022 წელი“, რომელშიც დეტალურადაა შეფასებული ეკონომიკის 14 პრიორიტეტული დარგი, განსაზღვრულია ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული პოლიტიკისთვის რეკომენდირებული რაოდენობრივი სამიზნე მაჩვენებლები და ცირკულარობის მიზნები, გამოვლენილია დარგობრივი შესაძლებლობები, შემუშავებულია დარგობრივი პოლიტიკის ვარიანტები, წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოს ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევისა და სტრატეგიის თაობაზე.

პირველი პლენარული შეხვედრა, რომლიც ცირკულარული ეკონომიკის ეროვნულ გზამკვლევზე მუშაობის დაწყებას მიეძღვნა, 2023 წლის 17 ოქტომბერს გაიმართა. ამ პროცესის კოორდინაციას საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს, ხოლო მას სბმკ „ორქისი“, შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „მმართველობის რეფორმის ფონდი“ (GRF) ქვეპროექტის „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“ ფარგლებში ახორციელებს. ამ პროცესის საკვანძო დაინტერესებულ მხარეებს განეკუთვნებიან საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელსაც მასში კოორდინატორის როლი აკისრია და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელიც საქართველოს ცირკულარულ ეკონომიკაზე დაჩქარებული გადასვლის ხედვის, მიზნებისა და ხელშესახები ქმედებების განსაზღვრაში ერთ-ერთი მთავარი დაინტერესებული მხარეა.

საქართველოს მთავრობის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოსა და სბმკ „ორქისი“-ს ექსპერტებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად ოთხი პლენარული შეხვედრა და ერთი ეროვნული შეხვედრაა დაგეგმილი. მეორე პლენარული შეხვედრა 2023 წლის 13 დეკემბერს გაიმართება. მისი მიზანია სბმკ „ორქისი“-ს ექპერტებისა და უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრების მონაწილეობით მრგვალი მაგიდის მოწყობა ცირკულარობის დონის შეფასების 2022 წლის ანგარიშის ძირითადი რეკომენდაციების განსახილველად და ცირკულარობის გზამკვლევის გულდასმით შემუშავებისათვის სამუშაო მიმართულებების განსასაზღვრად.

ცირკულარობის გზამკვლევის შემუშავებასთან ერთად, აღნიშნული ქვეპროექტი ითვალისწინებს საკვანძო დაინტერესებული მხარეების, მათ შორის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და სხვა უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებას ცირკულარული ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) და მწვანე სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში, რათა ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევის შემუშავებასა და განხორციელებაში მათ ინფორმირებული მონაწილეობა შეეძლოთ.

ქვეპროექტს უძღვებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი და ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტი, სბმკ „ორქისი“-ს გუნდის ხელმძღვანელი დოქტორი დარიუშ პრასეკი, რომელთაც ეხმარება საქართველოს ეკონომიკის, მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის საკითხებში ღრმად ჩახედული ადგილობრივი ექსპერტების გუნდი.